გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | ? 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართოთ: თვითონ რედაქციას ქუკიაში, აკჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თაგ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 1 აპრილს.


აზნაურ ნ. პ. ლორთქიფანიძის ტრამვაის როტონდაში
1890 წლის პირველ აპრილიდგან
გაიმართება ყოველ დღე დიდი

**სეირნობა.**

მოვიწვიე შესანიშნავი
ჯამბაზი და პიროტეხნიკი ნ. ჰ. და მ. ნ. ზლობინები
და
ჰაერში გიმნასტიკის მოთამაშე **გრიგოლ სიუბბოტინი.**

როტონდაში დაუკრავს მსროლელთა ბრიგადის მუსიკა ბ-ნ სვობოდას მეთაურობით. დაწვრილებული პროგრამმა სეირნობისა აფიშებში.

(1—1) ნ. პ. ლორთქიფანიძე

ოთხშაბათს, 4 აპრილს, ქ. თელავში და პარასკევს, 6 აპრილს, ქ. სიღნაღში ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო

გაჰმართავს პირველად

**კონცერტს**

სამს განყოფილებად და 18 ნომრად. სიმღერები გადაღებულია ნოტებზე: ბ-ნთ სარაჯიშვილისა, მაღრაძისა, ბენაშვილისა და ბალანჩივაძის მიერ.

დასაწყისი 8 საათზე.


რადგანაც განვიზრახეთ განსვენებულის ილსებ დავითაშვილის ლექსების კრებულის გამოცემა, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც-კი ძვირფასად მიაჩნია ამ ლექსების შეერთება და საერთოდ გამოქვეყნება, თუ ეპოვება რამ ლექსი განსვენებულისა, ჩვენ გამოგვიგზავნოს. დარწმუნებულნი ვართ, ჩვენს სურვილსა და განზრახვას ყველა სიამოვნებით მიეგებება და ხელს მოგვიმართავს და შეგვიწყობს, რომ ეს განზრახული საქმე საესებით შევასრულოთ და ჩვენ მიერ გამოცემული კრებული სრული და უნაკლული იყოს. ფოსტის ხარჯს ჩვენვე ვკისრულობთ, თუ არ დაიზარებენ და, რაც-კი შეიძლება, სჩქაროდ გამოგვიგზავნიან. ადრესი: Караванъ-Сарай Онанова. № 48, г. Ратіани.

სიძე განსვენებულისა გარსევან რატიანი.

(5—1)


დაიბეჭდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**თხზულებანი**

რ. ერისთავისა, ნაწ. II, ლექსები

გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“

ფასი 40 კაპ.

(5—1)


## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ იუსტიციის მინისტრს მოუთხოვნია სასამართლო პალატისაგან საქმე ივ. იაგ. ზუბალოვისა.

*** სამშაბათს, ამ თთვის 27, ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების სადგომში საგანგებო სხდომა იყო ამ საზოგადოების წევრთა. ამ სხდომაზე კენჭი უყარეს და დააჯილდოვეს საპატიო დიპლომით—ა. ა. რადლე (ცხენის რკინის გზის დირექტორი), ექიმი ბოლოტოვი, ბ-ნი ზ. ენიკოლოფოვი, ი. ზ. ენიკოლოფოვი და პოლიციის ბოქაული კ. ი. სვიმონოვი, ოქროს მენდლებით—კ. ი. არუთინოვი, მ. ე. ხუნდაძე, გ. ს. რევაზოვი, ი. ა. ბაბანასოვი, ა. ს. ლარიბოვი, პ. ე. გერიტიშვილი, ე. ე. ჩემინოვი და კ. ა. სეროფიანცი; ვერცხლის მენდლებით—ა. ა. ლიმბერგი, ე. ს. მაისურაძე, ს. ნ. ხუნდაძე, ა. ფ. პარიშკო, ი. ი. დოლანოვი, ნ. ი. მეშჩერსკი, ა. თ. ქამალოვი, ა. პ. აიდანოვი, ი. ს. მანველოვი და ხათლათოვი, ქებისა და მოწონების მოწმობით—თავ. მ. ზ. ვაჩნაძე, ე. კ. მინაევი, მ. გაფაროვი, გ. მ. პაველოვი, პ. კ. გიორგიზონი, კომბერგი, პოდკოლზინი, დ. ს. ბელი, ა. ს. პაპოვი და მ. შ. ავაქოვი.

*** აღდგომის მესამე დღეს, როგორც შევიტყვეთ, ტფილისში ჩამოვა ახლად დანიშნული პოლიციის უფროსი ბ-ნი მასტიცკი და ყველა პოლიციის მოხელეს ინახულებს.

*** ეს-ეს არის ეხლა მივიღეთ ერთ წიგნად დაბეჭდილი პირველი და მეორე ნომერი ყოველ თთვიურის ჟურნალისა, რომელსაც ჰბეჭდავს „კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება“ სახელ-წოდებით „Труды Императорскаго Кавказскаго общества сельскаго хозяйства. წიგნში მოთავსებულია წერილები: ვებერისა, რომლის აზრებმა ამას წინად ბევრი აალაპარაკა, იოსელიანისა, რომელიც პასუხს აძლევს ზემოხსენებულს ვებერს ზოგიერთის მის მიერ გამოთქმულის აზრის შესახებ, ე. გ—ისა, როზოვისა: условія колонизаціи по южному черноморскому побережью, სარაჯიშვილისა: საის წერილის თარგმანი „О приспособляемости американскихъ лозъ къ почвѣ и климату“, ვ. ყარაჟიჩევისა და სხვ. დამატებაში დაბეჭდილი შემდეგი ნ. გოშეს სახელმძღვანელოსი: Теоретическое и практическое руководство къ облагороженію, воспитанію и размноженію деревьевъ и кустарниковъ.

*** პროკურორი საქართველო იმერეთის სინოდალურ კანტორისა ბ-ნი ანდრეევი დაითხოვა სამსახურს თავის თხოვნისამებრ და იმის ადგილას დროებით დაჰნიშნეს სეკრეტარი იმავე კანტორისა ბ-ნი ჩიტაძე.

*** გამოვიდა „Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа“, სამოსწავლებლო ოლქის მზრუნველის კანცელარიის გამოცემა. ამ მოზრდილ წიგნში დაბეჭდილია ფრიად საინტერესო წერილები შესახებ სვანეთისა, სამეგრელოსი და ქუთაისის მაზრისა. აქ მოგვყავს ზოგიერთის წერილის სახელი. სვანეთი დეპლოვისა, სვანნი მარგიანისა, მოკლე აღწერა სვანთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივ ყოფა და მდგომარეობისა, წერილი მღვდ. გულბანისა; სვანთა თქმულობანი, გამოცანანი და სიმღერანი, ბესარიონ ნიჟარაძისა; სვანთა საერო პოეზიის ნიმუშები, სტოიანოვისა; სვანთა შესხმანი და სიმღერანი კონავა ყიფიანისა, დეპლოვისა, სვანთა სიტყვიერების ნიმუში გრენისა და სხ.-და-სხ. სხვათა შორის წიგნში ჩართულია მცირე ლექსიკონი სვანთა ენისა. ამ ლექსიკონიდგან სჩანს, რომ $^3/_4$-დი სვანების სიტყვებისა წმინდა ქართულის ფესვისაა. ეს ლექსიკონი შედგენილია ბესარიონ და ივანე ნიჟარაძეთა მიერ.

*** ს. ზემო-მაჩხაანი (სიღნაღის მაზრა): მარტის 12 ს. ზემო-მაჩხაანს ესტუმრა ბ-ნ სიღნაღის მაზრის უფროსი მოხელეების ამოსარჩევად. როცა მოხელეების არჩევანი გათავდა, მაზრის უფროსმა ს. მირზაანის, ზემო-მაჩხაანის, არბოშიკის, კოტაანის, ცლუნკაანის და ოზაანის საზოგადოებას საუბარი დაუწყო იმის შესახებ, თუ რა არის სწავლა-განათლება? ჩაგონების შემდეგ ურჩია: საჭიროა გააკეთოთ ახალი სკოლის დარბაზი, როგორიც სხვებსა აქვთო. საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მიიღო რჩევა ახალის შენობის გაკეთებისა. ამოირჩიეს 11 კაცი და იმათ მიანდეს ეს საქმე. იმედია, რომ სკოლის ახალი

## ფელეტონი

### ხიდია ჩატეხილი

მოთხრობა

(დასასრული*)

XXI

როცა სოსე ნიკოს სახლს მიადგა, ნიკო ფრაკში გამოწკიპული არიების სტვენით პორტფელში ქაღალდებს აწყობდა.

— ბატონო, მოახსენა ლაქიამ: ზალაში სამი კლიენტი იცდის, ინებებთ, კაბინეტში შემოვიყვანო?

— მოიცა, მოიცა, პატარა დამაცადეთ. სთხოვე მოიცადონ.

ბიჭი გაბრუნდა. ნიკო პატარა მიტრიალდ-მოტრიალდა და მერე ღიმილით დააკაკუნა კარები მეორე ოთახისა.

—ვარინკა, ma chère, გამოსათხოვებლად არ შემომიშვებ! დაუძახა ნიკომ ვარინკას.

— Pas possible, mon cher, je suis fatiguée.

— რა არის, ვარინკა, სულ ეგრე მისტუმრებ! ერთი ხელზე მაკოცნინე!

— ოჰ, რა აუტანელი ხარ! Eh bien შემოდი. ციც-ციც! ეგრე ადვილადაც არ შეიძლება ჩემი კოცნა! ჯერ სპიჩკა მომართვი, პაპიროზი უნდა მოვწიო.

— ვარინკა, ჩემის გულის ცეცხლს მოგცემ.

— ხა! ხა! რა კარგა სთქვი! მაგ ძვირფასს ცეცხლს მე პაპიროსზე არ დავხარჯავ. ნელა, ხელი არ დამწვა! ძალიან გინდა ხელზე მაკოცო? აბა, დასამტკიცებლად დამიჩოქე!

— აჰა, ჩემო მტანჯველო! რა არის, ვარინკა, მიგვიანდება, საქმე მაქვს დასაცველი.

— Tiens! განა ვინ გიჭერს? მიბძანდი! მე არ გიძახდი?! ოჰ, დამანებეთ თავი! თქვენ სულ არ იცით, ქალს როგორ უნდა მოეპყრათ! დარწმუნებული ვარ, თქვენ ვერც-კი ჰგრძნობთ, რა შეურაცხყოფა მომაყენეთ.

— უკაცრავად, ჩემო გვრიტო! სულ იმას გეხვეწები, რომ წინადვე მაპატიო! არ ვიცი შენი ყადრი, მასწავლე! Mais, ma chère... ნუ თუ გუშინდელსავით უნდა დამტანჯო!

— მე მინდა, რომ დღეს თქვენ არსად წახვიდეთ და არც არავინ მიიღოთ! გესმით, ბატონო, თუ არა?! თქვენ მე ძალიან დამიბრიყვეთ და ეხლა ჩემი სუსხი ნახეთ.

— ვარინკა, შეუძლებელსა გთხოვ, საქმე დანიშნულია...

— გთხოვ-კი არა, გიბძანებთ. თუ არა გნებავთ—მიბძანდით! მე თქვენ არა მჭირიხართ!..

— ოჰ, ვარინკა, ჩემო მტრედო! ნუ გაჯავრდები. კარგი, აი წერილს მივწერ, საქმე გადასდონ, ნუ სჯავრობ, გენაცვალე, გაწყენს!

ნიკომ წერილი დასწერა და ბიჭს უბძანა არავინ მიიღო იმ დღეს.

— აი ვარინკა, შენი ბძანებაც შევასრულე. არც ეხლა გამიცინებ?

— Oh, mon cher, voici ce que j'aime? მოდი მაკოცე, მხოლოდ ერთხლის მეტად არა და ისიც ხელზე, თორემ სახე კოცნით ფუჭდება.

ნიკომ აღტაცებით დაუწყო კოცნა.

— გეყოფა, გეყოფა! მე ერთხელ გითხარი და შენ სამჯერ მაკოცე.

— სწორე გითხრა, ცოტა კიდეც მიხარიან, რომ გაგაჯავრე, დღეს მე ბედნიერი ვიქნები.

შენთვის უსიამოვნობა არასოდეს არ მომიყენებია, ყოველს ჩემს მოქმედებას შენთვის ბოლოს სიამოვნება მოაქვს, ისე, რომ ხანდისხან ვფიქრობ ხოლმე... ხა, ხა, ხა!.

— რას იცინი, რა ექნა?

— ერთი ამბავი მომაგონდა.. ხა! ხა! დღეს დილას ვფიქრობდი, ხა, ხა! მოიცა, ნიკო, მე ეხლა დალაგებით უნდა გელაპარაკო. Plutôt je vais faire une experience. აბა თვალები დახუჭე! ეგრე. ეხლა რაც გიბძანო, ის გააკეთე. მობრუნდი მარჯვნივ, სამი ნაბიჯი გადადგი, ეხლა მარცხნივ მოტრიალდი. ხუთი ნაბიჯი წინ გადადგი. ნახევარი ნაბიჯი უკან გადადგი. შეხტი! ხა! ხა! ხა!

— ოჰ, ვარინკა. ეგ რა ხუმრობა იყო! თავიც ვიტკინე, ლამპარიც კინაღამ გავტეხე და ნავთი თავზე გადვისხი. მე მაგას არ გაპატიებ, თუ ხელზე არ გაკოცე.

— შენ ისე გამაცინე, რომ პირზედაც გაკოცნინებ. ორჯელ მაკოცე!? ბოდიში მომთხოვე, დაიჩოქე! ეგრე. ეხლა ადექი, ჩემს პირდაპირ დაჯექი მოშორებით და ვილაპარაკოთ.

— რაზე?

— შენ გამოჩენილი ადვოკატი ხარ და მე მეკითხები რაზეო! კარგი. მე დავიწყობ: წუხელის სიზმარში ჩემი ძმა ვანო ვნახე. ეს რას ნიშნავს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ მალე ნახავ.

მართლა, ნიკო. იმ საწყალმა ვანომ ვის რა დაუშავა, რომ იმ სიცივეში ჰყინავენ?

— ესე იგი... იმიტომ-რომ იბრძოდა. სულელის ბრძანებლობას ვერ იტანდა...

— ჰმ! რას წარმოვიდგენდი, თუ ისიც ბრძოლას შეიძლებდა. ნიკო, შენ ერთი ის მითხარი, ამ ჩვენ ცხოვრებაში საზოგადოდ სულელი ბძანებლობს, თუ ჭკვიანი? მე მინდა ვიკითხო, სულელი ჭკვიანს მიჰყვება, თუ ჭკვიანი სულელს?

— რასაკვირველია, სულელი ჭკვიანს მიჰყვება.

— ჰმ! მართალს ამბობ? მე აქამდის მაგაში ცოტა ვეჭვობდი, მაგრამ ეხლა შენ დამარწმუნე. ხა! ხა! რა გაშტერებული მიყურებ!?

— მაგისთანა ლაპარაკი მე შენგან პირველად მესმის. რისთვის მკითხევ?

— ხა! ხა! როგორ თუ რისთვის. ყველას უნდა გაიგოს ჭკვიანია ისა, თუ სულელი.

— მერე მანდედგან შენ რა გაიგე?

— ის, რომ მე ჭკვიანი ვარ! ხა! ხა!

— და მე სულელი! ვარინკა მაგას კი ველარ მოვითმენ.

— ხელი რომ გამოგიწოდო?

— არც მაშინ.

— ლოყა რომ მოვიშვირო.

— მაშინ-კი diable! შენ მე მაგიქებ!

— ბატონო, ერთი კაცი გახლავთ და თქვენს ნახვას თხოულობს. ვერ მოვიშორეთ, შემოილაპარაკა კარებიდგან ბიჭმა.

— კისერში ცემით გააგდეთ! უპასუხა ვარინკამ.

— უთხარი, ავად არის, არავის იღებს-თქო, დაუმატა ნიკომ.

— ოჰ, ნიკო, რა მიყვარხარ, როდესაც ჩემს სურვილს ასრულებ ხოლ-

*) იხ. „ივერია“ № 45, 46, 48, 49, 51, 52, 54, 55, 56, 57, 59, 61, 62, 63, 65, 66 და 67.

შენობა სექტემბრისთვის უკვე მზად იქნება.

*˟* ქართლი: რაც მარტი დადგა, განუწყვეტლივ ქვენა აღმოსავლეთის ქარი ჰქრის. ნამი არ გადმოვარდნილა. დედა-მიწა გახმა გოლვისაგან. ძლიერმა ქარმა დასთხარა აქაურობა და ჯეჯილებს მიწა გადააფარა. სასაქონელი ლამის დაბრმავდეს მტვერისაგან. თუ ამ ერთის კვირის განმავლობაში წვიმა არ მოვიდა, მოსავალს ძალიან გაუჭირდება. შარშან სრულიად მოსცდა ყველა ნაირი მოსავალი მიწისა და, წელსაც თუ არა მოვიდა-რა, ძალიან გაუჭირდება ხალხს ცხოვრება.

*˟* გორი: ადრეც იყო „ივერიაში“ მოხსენებული, მაგრამ ყურადღება არავინათხოვა იმ ამბავს, რომ საზოგადო სახლები ცუდის ზნის დიაცთა იმყოფება თვალ-საჩინო ალაგასაო. გამვლელ-გამომვლელს მოსვენება არა აქვთ არლნების ჭყიტინისა და ქუჩის ბიჭების ლოთობისა და გინებისაგან. იქვე სასულიერო სასწავლებელია და გარეშემო ქალაქის მოსახლენი სდგანან. აქვე ახლო-მახლო სცხოვრობენ როგორც სასულიერო სასწავლებლის, ისე ქალაქის სასწავლებლის ბავშვები და მუდამ დღე სულისა და გულის გამრყვნელს სურათებს უცქერიან. იმედი გვაქვს ეხლა მაინც არ დასტოვებენ ჩვენს სიტყვებს უყურადღებოდ და სადმე განაპირას აუჩენენ საცხოვრებელ ბინას. ეს საქმე ახლად შედგენილს სანიტარულს კომისიასაც შეეხება და ამან მაინც გამოიღოს თავი და საუკეთესო ნაწილს ქალაქისას მოაშოროს თავილამ ეს უწმინდური დიაცთა სახლი.

*˟* ბათუმი: მოგეხსენებათ, რომ სადგურ ქობულეთის ახლო დასჭრეს მძიმედ თავადი აბაშიძე, აღმასრულებელი კინტრიშის განყოფილების უფროსის თანამდებობისა. დღეს აბაშიძე ბათუმის სამკურნალოშია და აქა სწამლობენ მკურნალნი. არ ვიცით, რამდენად მართალია, მაგრამ ამბობენ-კი, რომ აბაშიძე დასჭრა სწორედ იმ ორმა ახალგაზდა ბოქაულმა, რომელსაც განყოფილების უფროსმა თოფ-იარაღი ახსნა ხალხში და მერე ისიც იქ, საცა ისინი სტუმრად იყვნენ მისულნიო. ეს ამბავი მეტად იწყინეს თავმომწონე ქობულეთლებმა, ამ ძველის მესხის ნატამალთ, იწყინეს უფრო იმიტომ, რომ უფროსმა რამდენჯერმე მათ-ახი მოუქნია და ორიოდე მკვახე სიტყვაც უთხრაო.

*˟* ხიდნადი: ვერაფერი წელიწადი დაუდგათ აქაურ ცხვრისა და საქონლის პატრონებს. გაჩნდა ყვავილი და დიდ-ძალი ბატკნობა დაჰხოცა. თითქმის ნახევარზედ მეტი გაწყდა ამ ბატკნობისა. ყვავილმა დაჰხოცა მრავლად დედა-ცხვარიც. ამ ზაფხულს, ცხადია, ნაკლებად წავა ცხვარი აქედგან თრიალეთისკენ საძოვრად.

*˟* „Новости“-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში აპირობენ შემუშავებას პროექტისას, თუ რა წესითა და რიგით უნდა გაკეთდეს სკოლები ღვინის მოყვანისა და ვენახების გაშენებისა. აგრეთვე შემუშავებულ იქმნება რამდენიმე ღონისძიება, თუ როგორ უნდა გავრცელდეს ამიერ კავკასიაში აბრეშუმის მოყვანა. ამ საგნის სისრულეში მოყვანისათვის, როგორც გაუგონია ზემოხსენებულს გაზეთს, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს გაჰგზავნოს სამზღვარ გარედ სამი კაცი, რომელთაც სწავლა უნდა ჰქონდეთ შესრულებული რომელსამე მაღალ სამეურნეო სასწავლებელში და უფრო მაგარაჩის ღვინის კეთების სასწავლებელში. ერთს ექმნება მინდობილი შესწავლა სპეციალურად ღვინის კეთებისა, და დანარჩენ ორთ—აბრეშუმისა. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უკვე უთხოვნია სახელმწიფო საბჭოსათვის დაენიშნოს თითო გასაგზავნს კაცს 2,000 მანეთი ორის წლის განმავლობაშიო.

*˟* საზღვარ-გარეთის სომხური გაზეთები იუწყებიან, რომ ავსტრი-ვენგრიის ქვეშევრდომმა კავალერ ჯუნტს, ტომით სომეხს, შეუწირავს დიდი ფული, რომლის სარგებლითაც უნდა აღიზარდონ საზღვარ გარეთის უნივერსიტეტებში ახალ-გაზდა სომხები, იმათ უნდა შეისწავლონ: ღვთისმეტყველება, პედაგოგია, აგრონომია, მედიცინა, სამართალი, ხელოვნება და ხუროთ-მოძღვრება. ჯუნტის მოწაფენი მიიღებენ წელიწადში 2,000 ფრანკს და უნდა დარჩნენ უნივერსიტეტში არა უმეტეს ხუთის წლისა. მოწაფეებს ამოარჩევს სომხეთის პატრიარქატი კონკურსით. კონკურსში შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა იმ ახალგაზდა სომეხთ, რომელნიც აღიარებენ გრიგორიანის სარწმუნოებას და იციან კარგად სომხური ენა და სომხეთის ისტორია. სტიპენდიანტთა შორის უსათუოდ უნდა იყოს თითო კაცი ავსტრიელ და ვენგრიელ სომეხთაგან, უკეთუ დააკმაყოფილებენ ზემო მოყვანილ საკონკურსო პირობას. ჯუნტის სტიპენდიის მიღების უფლება აქვს ყველა სახელმწიფოს ქვეშევრდომ სომეხს. სტიპენდიების დამფუძნებელი ბ-ნი ჯუნტი არაფერს განსაკუთრებულ მოვალეობას არ ითხოვს თავის მოწაფეებისაგან, მხოლოდ თხოულობს, რომ მისი მოწაფენი იყვნენ კეთილნი და სასარგებლო წევრნი საზოგადოებისა და თავის სწავლით დაეხმარონ სომხეთის ხალხს და იმით ასახელონ თავიანთი „მამა“. ასე უწოდებს თავის თავს ბ-ნი ჯუნტი.

ამავე საგნისათვის ახლად გარდაცვლილს კავალერ ჯუნტის მეუღლეს შეუწირავს დიდ-ძალი ფული თავის მხრითაც. ამ ფულით უნდა გაიზარდოს, სხვათა შორის, ერთი სომეხი ქალიც, თუ გამოჩნდება მსურველი საუნივერსიტეტო სწავლისა.

*˟* მარტის 27, პოლიციის მესამე ნაწილში, შეიპყრეს ყაზარმიდგან ორის კვირის გაქცეული კავკასიის ს მსროლელთა ბატალიონის ჯარის-კაცი ტრაფიმე ფროლოვი და კავკასიისავე მეოთხე მსროლელთა ბატალიონის ჯარის-კაცი ვასილ კრჩეტკოვი. დამნაშავენი გადასცეს საკომენდანტო გამგეობას.

*˟* პოლიციის მეშვიდე ნაწილში, მარტის 27, ღამის ათს საათზე, ტფილისის მცხოვრებლის ალექსი იაგუბოვის დუქნიდგან სადგურიდგან ხალიჩა მოიპარა მარტყოფის მცხოვრებელმა ნიკო სარჩუცაშვილმა. ქურდი შეიპყრეს.

*˟* ამავე დღეს კანცელარიის მოხელემ კორნელი ბულგაკოვმა მოიწადინა წყალში თავის დარჩობა და მიხეილის ხიდიდგან გადავარდა მტკვარში, მაგრამ ტფილისის მცხოვრებელმა მუნთოევმა და პოლიციელმა ხეთაგუროვმა გადაარჩინეს დარჩობისაგან.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გორი, მარტი 26. თუმცა მკითხველს დავპირდი, თვე და თვე მეცნობებინა გორული ამბები, მაგრამ თებერვალმა ისე გაიარა, რომ შესანიშნავი ჩვენს ცხოვრებაში, ე. ი. გორელების ცხოვრებაში არა მომხდარა-რა. მხოლოდ ერთი ამბავი იყო შესანიშნავი, მაგრამ იმასაც მოკლედ შევეხები. თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ მაინც საყურადღებოა. თებერვალში, ყველიერის ორშაბათს, იმდენი „ბლინები“ აჭამეს გორის საზოგადოებას, რომ მუცლები შემოასკდათ და მეტის კუჭის სიმძიმით ძილად მიიქცნენ. პულხერია ივანოვნა არ უშვერებოდა იმ საქმეს ათანასი ივანიჩს, რაც იმ ორშაბათს სალამოს სცენის მოყვარულთ დაჰმართეს საზოგადოებას სამხედრო დარბაზში. გორის საქალაქო სკოლისათვის იყო გამართული წარმოდგენა. წარმოადგინეს რაღაც ოც-მოქმედებიანი კომედია და ექვს სურათიანი ვოდევილი; წარმოდგენა დაიწყო რვაზედ და გათავდა ოთხს საათზედ. აი ამ წარმოდგენას ვეძახი მე „ბლინს“. შენი მტერი და დუშმანი შესჭირდეს, როგორც საზოგადოება: ზოგს ეძინა, ზოგს გული უფერდებოდა, ზოგს სთვლემავდა. ბოლოს დარბაზი თითქმის დაცალიერდა და საბრალო სცენის მოყვარულნი, დაღალულ-დაქანცულნი, ფეხების ხლართვით დადიოდნენ სცენაზე, რომ როგორმე ბოლოში გასულიყვნენ და უკანასკნელად ფარდა ჩამოეშვათ. რასაკვირველია, ამ გვარად დაყენება საქმისა, ასე შეწუხება საზოგადოებისა კარგი არ არის. ახიც-კია! იმისთანა მშვენიერად მომზადებულს წარმოდგენაზედ, რომელიც იანვარში იყო ქართულად გამართული იმავე სამხედრო დარბაზში, გორელ ქართველ-სომხობა ნაკლებად დაესწრო და აქ-კი კისრისკვრით წავიდნენ... ეჰ, მაგრამ დავანებოთ ამ უსიამოვნო ამბავს თავი.

ჩხირი კედელს, ჩხირი კედელს!! ისეთი რამ უნდა გიამბოთ, რომ გაოცდებით და იტყვით ტუჩის აბზუკვით: „დავიჯერო, ეს საქმე გორში უნდა მომხდარიყოსო“. დიაღ! მოხდა, თქვენმა მზემ, მოხდა! და აი რა მოხდა: ქალაქის ახალმა თავმა, ნახა რა ასეთი გასაოცარი სიბინძურე და სიმყრალე ქალაქისა, განიზრახა სანიტარულ კომისიის შედგენა, რომ ქალაქი გაიწმინდოს და მუდამ თვალ-ყური ეჭიროთ მის სიწმინდეზედ.

მოგეხსენებათ, რომ სპარსეთში ხოლერა მძვინვარებს. ჩვენმა ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქცია და არა ღონეს არა ჰზოგავს ხალხის გადასარჩენად იმისთანა საშინელის სენისაგან, როგორიც არის ხოლერა. ბატონმა გუბერნატორმა ტფილისისამ, სხვათა შორის, გორის ქალაქის გამგეობასაც მოსწერა, რამე ღონე იღონეთ ხოლერის ასაცილებლადაო.

გორის ქალაქის თავმა, ბ-ნმა ვახრამოვმა, დაიბარა ექიმები, საპატიო კაცნი, პოლიციის ბოქაულნი. აირჩიეს სანიტარული კომისია, რომელსაც შეადგენენ შემდეგნი: ექიმი ი. სააკოვი, რომელიც ამავე კომისიის თავმჯდომარეა, მ. ტერ აკოფოვი, გო-

---

მე! შენც ხომ არ ნანობ!? მაშ რატომ სულ ჩემს ნებაზე არ დადიხარ?

— რა ვქნა! შენს ნებაზე არ დავდივარ, მაშ ვის ნებაზე დავდივარ!?

— ბატონო, ვერ მოვიშორეთ ის ვიღაცა არის! დაიძახა ბიჭმა: მოახსენეთ, სოსე ვარო და კიდევ რაღაც სისულელე სთქვა.

— სოსე! გაიკვირვა ნიკომ. შემოიყვანეთ, დაუძახა მან ბიჭსა და მერე ვარინკას შეეხვეწა: ვარინკა, შენი ჭირიმე! თუ გიყვარვარ, ნუ გამიჯავრდები, აუცილებლად უნდა ვნახო!

— კარგი. მე შენ ისე მიყვარხარ, რომ გაპატიებ, დაგითმობ. აქ შემოიყვანე, ბიჭო! დაუძახა ვარინკამ.

— ვარინკა, როგორ შეიძლება! ცალკე უნდა ველაპარაკო... შენ დილის ბლუზაში ხარ...

— M'importe! გლეხ-კაცი არ არის. რა მიშავს! შენგან არ მიკვირს, მაგას მეუბნები!

ვარინკა ნიკოს ყელზე მოეხვია და კალთაში ჩაუჯდა. სოსეც ამ დროს შემოვიდა.

— რა გინდა, ვინა ხარ, რა საქმე გაქვს, რად მოსულხარ? მალე სთქვი და მალე წადი! უთხრა ვარინკამ კარებში ატუზულს სოსეს.

— ვარინკა... ვარინკა... წაიბუტბუტა ნიკომ...

— სუ, სუ! შენს მაგიერად მე ველაპარაკები! გააწყვეტინა ვარინკამ და ტუჩებზედ ხელი მიაფარა. სოსე გაოცებული იდგა და გონს ვერ მოსულიყო. დარწმუნებული იყო, რომ ნიკო მომეხვევა, გადამკოცნისო და ისკი არა თუ ასეთს სურათს-კი ჰხედავდა. გულ-ნატკენი სოსე სცდილობდა დაენახა ნიკოს სახე, მაგრამ ვარინკა აჰფარებოდა წინ.

— რას გაჩუმებულხარ, ბიჭო?! ბატონი ავად არის. ლაპარაკი არ შეუძლიან: ხა! ხა! ვერა ჰხედავ ფეხზე ვერ წამომდგარა! თუ ფულს თხოულობ, წადი, ბიჭი მოგცემს!

— არა... წაილუღლუღა აკანკალებულის ხმით სოსემ. კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ცრემლებმა აღარ დააცალა. შეწუხებული და თავს-ზარ, დაცემული სოსე გარედ გავარდა.

— შორს ჩემგან, დაწყევლილო! დაიღრიალა ნიკომ და ხელი ჰკრა ვარინკას მძულვარებით. სოსე, ძმაო! მოიცა, ჰყვიროდა ნიკო და თმებს იგლეჯდა გამწარებული. ჰოი, შე საზიზღარო ქმნილებავ, შე მაცდურო! ჩქარა, მოგშორდე, ჩქარა! დაუყვირა იმან, უგონოდ შექმნილს ვარინკას და გავარდა გარედ.

— საითკენ წავიდა, ბიჭო? ჰკითხა ნიკომ კარებში ლაქიას.

— ასე ვერისკენ მირბოდა, უპასუხა ლაქიამ. ერთს საათს არ გაევლო, რომ ნიკო და სოსე შერიგებულნი ჩქარის ნაბიჯით მცხეთის გზაზე მოდიოდნენ.

— ნიკო, დავბრუნდეთ! უთხრა სოსემ: სამს საათამდის მოვიცადოთ სადმე და მერე რკინის გზით წავიდეთ, თორემ ამ თოვლში, ამ ქარში... არაფერი თბილი არ გაცვია!..

— არა მიშავს-რა, ჩემო სოსე! მცხელა კიდეც. მაგას ნუ მირჩევ, სჯობს მალე მოვშორდე ამ ქალაქს. მცხეთამდის როგორმე გავძლებ და იქ მოვიუცდით ორთქლის მატარებელს.

ნახევარი გზა არ გაევლოთ, რომ ნიკო, რომელიც აქამდის სოსეს წინ უძღოდა, უკან ჩამორჩა.

— სოსე! მოდი პატარა დავისვენოთ, თორემ ძალიან დავიღალე უთხრა ნიკომ.

სოსემ თავის ნაბადი თოვლზე გაუშალა, ერთს წვერზე თითონ ჩამოჯდა და დანარჩენი ნიკოს დაუთმო.

— წამოწექი! უფრო კარგად დაისვენებ! ურჩია იმან ნიკოს, რომელიც დაქანცული თავს ვერ იმაგრებდა.

ნიკომ სოსეს მუხლზე თავი დასდო და სოსემ ნაბადი გადმოახურა, რომ არ გაციებულიყო.

ტრიალ მინდორზე მარტის ქარმა გახურებული ნიკო მალეააკანკალა. სოსემ თავის ჩოხის კალთა ბეჭებზე მოახურა, მაგრამ მალე თითონაც ვეღარ გუძლო სიცივეს.

— ნიკო, დაიძინე? გაცივდები, გაიღვიძე უთხრა სოსემ.

ნიკოს მართლა ჩასძინებოდა. სოსეს ხმაზე უცბად წამოხტა და გაშტერებული თოვლს დააცქერდა.

— უჰ, შემცივნია! სთქვა კანკალით ნიკომ.

— წავიდეთ, სიარული გაგვახურებს, უპასუხა სოსემ.

— წავიდეთ... წავიდეთ! სთქვა დაფიქრებით ნიკომ.

სოსემ ნაბადი გაბერტყა და წამოასხა ნიკოს.

— წავიდეთ! გაუმეორა კიდევ სოსემ, მაგრამ ნიკოს, რომელსაც ყოველს ამოკვნესაზე სიცივით ტანში აჟრჟოლებდა, თითქო არ ესმოდა სოსეს ლაპარაკი, გაშტერებული ძირს იცქირებოდა.

— სოსე! წამოსთქვა ნიკომ თავაულებლად: ვერ გამოგყვები, შენ წადი... და როდესაც გაშტერებული სოსე ხმას არ იღებდა, იმან თითქო თავის სიტყვების გასამართლებლად დაუმატა: ჩვენს შუა დიდი ღელეა. ღელეზე ხიდია ჩატეხილი...

— ხიდია ჩატეხილი?!. გაიმეორა სოსემ: ხელი ხელს მივცეთ და ხიდად გავედოთ!..

— ვერ გავწვდებით... ულონო ვართ.

— ჰმ! მაშ შიგ ჩავეგოთ! ღელე ამოვავსოთ, რომ ჩვენმა შვილებმა ჩვენზედ გადიარონ.

— წყალი გაგვანგრევს და წაგვიღებს...

— ხელი ხელს გადაბმულებს წყალი ტივსავით ზევით მოგვიგდებს..

— კმარა, სოსე, შემინდე!.. მე არ მოვდივარ! გააწყვეტინა ნიკომ, ნაბადი გვერდზე მიაგდო და გამოტრიალდა უკან. სოსე გულ-მოწყვეტილი დიდხანს შესცქეროდა უკან დაბრუნებულს ნიკოს?

— წადი, მიპატიებია!.. წამოსთქვა კანკალით სოსემ და მარტის ცივმა ქარმა მოსწყვიტა ცრემლი, რომელიც სოსეს გადმოუვარდა თვალიდგან.

XXII

შუა-ღამე მოტანებული იყო, როდესაც სოსე თავის სახლის კარებს მიადგა. სახლიდგან ბავშვის ტირილი გამოისმოდა. ამ ხმაზე სოსე ცოტა შეჩერდა და მერე გულის კანკალით კარი შეაღო.

ბუხარში ცეცხლი ჰქრებოდა. პატარა ნავთის ჭრაქისაგან დაყენებულ კვამლში იმან გულის ტკივილით გაარჩია სულთ-მობრძავ ლათოს სახე.

— სოსე მოვიდა! წამოიძახა ბებიამ. მოხუცმა კუთხეში ამოიკვნესა, ლათომ ღიმილით მოიბრუნა თავი და სოსეს ორივ ხელები ულონოდ გაუწოდა. სოსე დაღვრემილი მიუახლოვდა თავის დას და იმის წინ დაიჩოქა.

— ვეღარც-კი გხედავ, ჩემო სოსე!.. უთხრა ლათომ: როგორა ხარ?.. ბატონი-კი გვეუბნებოდა... ნიკო არ მოვა, სოსე?.. ჰკითხა უიმედოდ ლათომ. სოსეს თითქო ეწყინა ამ სახელის გაგონება, თავი გვერდზე მიიღო.

— ვიცოდი!.. ვიცოდი!.. წამოსთქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის აფთიაქარი კ. შეფე, ს. მგალობლიშვილი და ან. ანდრონიკაშვილი. გაჰყვეს ქალაქი ოთხ ნაწილად, მაგრამ რადგან ადმინისტრატიულად გორი სამ ნაწილად არის გაყოფილი, ამიტომ ამათაც სამ ნაწილად იკმარეს გაყოფა ქალაქისა.

თითო ნაწილს მიუჩემეს თითო ექიმი, პოლიციის ბოქაული, წევრი კომისიისა და რამდენიმე სანიტარი. პირველს ნაწილში არიან ექიმი ქ. ფურცელაძე, მეორეში ექიმი ტერ-მინასოვი, მესამეში ექიმი კარპოვიჩი.

კომისიას, ექიმებსა და სანიტარებს ქალაქის თავის თავმჯდომარეობით ქალაქის გამგეობის დარბაზში ჰქონდათ ამ თვის ოცდა-ექვსს საღამოთი კრება. წაიკითხეს ინსტრუქცია, გადასწყვიტეს, ყველა მოსახლესა, მედუქნესა, სასტუმროების პატრონსა და სხვათა ჯერ უწყება გაუგზავნონ, გამოუცხადონ ყველაფერი სუფთად იქონიონ; ნაგავი და ყველა უწმინდურება დანიშნულს ალაგას გაიტანონ, სადაც ნავთს დაასხმენ და დასწვავენ.

უმთავრესი ყურადღება კომისიამ და სანიტარებმა უნდა მიაქციონ იმ დუქნებს, სადაც საჭმელები მზადდება; ბაყლებსა, რომლებიც ათას ნაირს ხილსა და სხვა-და-სხვა ნაირს სანოვაგეს ჰყიდიან; ყასბებსა, რომელნიც ხშირად შინ, დუქანში, ჰხოცავენ საქონელს და შუა ქალაქში აშრობენ დაზამ-მარილებულს ტყავებსა. სანიტარებად ყველა ნაწილში ახალგაზდა ხალხი აირჩიეს, ისეთები, რომელნიც სულითა და გულით მოჰკიდებენ ხელს ამ ხალხის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საქმეს, გულს არ აიცრუებენ და კვალში ჩაუდგებიან.

ეს სამ გუნდად გაყოფილი სანიტარები რასაც უწესოებას ჰნახავენ, მოახსენებენ ზემორე აღნიშნულს კომისიას, რომელიც ასეთს თუ ისეთს განაჩენს დაადგენს და წარუდგენს სასამართლოს ბრალდებულის დასასჯელად. ღმერთმა დაუმადლოს ხოლერის მოლოდინს, თორემ იქნება თავს არ შეედლოთ კიდეც ქალაქის სისუფთავე.

ერთის სიტყვით, ამ სანიტარულს გუნდებსა და კომისიას აქვს ნება ინსტრუქციის ძალით მიაქციოს ყურადღება ყოველ მხრივ ქალაქს: საწონ-საზომის, ქუჩების, სახლის, ეზოების, წყლის სანაპიროების სისუფთავეს, საკლავ საქონლის შემოწმებას, რომ ავადმყოფი და ან უვარგისი არ დაჰკლან. როგორც ზემოდ ვსთქვით, თუ გული არ აიცრუეს და ბეჯითად მოეკიდნენ საქმეს, დიდს სიკეთეს მოუტანენ ქალაქს. ყველას იმედი გვაქვს, რომ საქმე კარგად წავა და ჩვენი უსუფთაო ქალაქი გალამაზდება და გაკოპწიავდება.

ეს მოწერილი ამბავი უნდა გავათავო ერთის ახირებულის შემთხვევით, რომელიც გორის „საბრანიაში“ მოხდა. არ ებედება ამ საბრალო „საბრანიას“ რიგიანი უფროსები, ანუ ნაცვლები (старшины). დიდი მნიშვნელობა კლუბებისა და «საბრანიების» ცხოვრებაში აქვს იმ ნაცვალს, რომელსაც აბარია ხაზინადრობა. გორში კარგად ბლომად არის იმისთანა ხალხი, რომელიც უკლუბოდ ვერ გასძლებს, ამას გარდა ახლო-მახლო მცხოვრები თავად-აზნაურობაც ხშირად დაიარება, ბევრი მათგანი წევრადაც არის ჩაწერილი. ქაღალდის თამაშობა მუდამ არის და ბევრნიც თამაშობენ. თამაშობენ აგრეთვე ბილიარდზედ და ნარდს. წყაროები შემოსავლისა ჩვენს კლუბს, ანუ, როგორც აქ წესდების ძალით ეძახიან, «საბრანიას» ბლომად აქვს. მაგრამ მაგარი ეს არის, რომ ყოველ წლივ დეფიციტია. მხოლოდ შარშანდელმა ნაცვლებმა ცოტა რამ დაუტოვეს, თორემ ამ ათის წლის განმავლობაში გროში არავის შეუმატნია. შარშან ნოემბერში, საიდამაც იწყება ჩვენის „საბრანიის“ წელიწადი, საზოგადოებამ სთხოვა ბ-ნ გ. სტეფანოვს, რომ ეკისრნა ნაცვლობა და ხაზინადრობა „საბრანიისა“, სთხოვა იმიტომ, რომ იგი გამოცდილი ჰყავთ, იცნობენ, როგორც პატიოსანს კაცს, კლუბისთვის დაუფასებელს. ადრევ თავის ხაზინადრობის დროს ორასი თუმანი ნაღდი ფული დაუტოვა კლუბსა სხვა მოწყობილობას გარდა. ამანაც იკისრა და აი როგორ დაატრიალა ოთხის თვის განმავლობაში საქმე. იქნება ბევრისათვის საინტერესოც არ იყოს ეს ამბავი, მაგრამ მომყავს ეს გარემოება იმის დასამტკიცებლად, თუ რა შეუძლიან კაცის ენერგიას, მინდობილობასა და საქმის სიყვარულს. ოთხის თვის განმავლობაში ბ-ნ სტეფანოვს კასაში ჰქონდა 1,164 მან. 91 კაპ., ნაღდი ფული; 355 მანეთის გასაჰრელი ქაღალდი, 299 მ. წევრთაგან შემოსატანი ფული ნაწილ-ნაწილად, 68 მ. გაჰრილი ქაღალდი,—სულ 1886 მ. და 91 კ. ეს ნაღდად ჰქონდა. ამას გარდა 500 მ. სახლის ქირა აქვს მიცემული, ბილიარდი გაუახლებია და კლუბის მოსამსახურეთათვის ახალი ტანისამოსი შეუკერია. ანგარიშები ისე სუფთადა აქვს გაკეთებული, რომ რევიზიის კომისია აღტაცებაში მოდიოდა. აი ამისთანა სასარგებლო კაცს უსიამოვნება მიაყენეს და იძულებული გაჰხადეს თავი დაენებებინა ხაზანადრობისათვის. მიზეზი?

აი მიზეზი. მოგეხსენებათ, რომ დიდმარხვაში საცეკვაო საღამოები აკრძალულია, ტანცი-მანცები არ შეშვენის იმ დროს, რომელიც ცოდვათა მოსანანიებლად დაუწესებია ეკკლესიას. ჩვენს კლუბში მოინდომეს კვირაობით ყოფილიყო კრება რომელიც, მოისმენდა მუსიკასა და სხვა-და-სხვა ბაასით გულს გადიყოლებდა. განცხადებაში ზოგიერთ ნაცვლებს ჩაემატებინათ „ტანცები“. რასაკვირველია, ეს არ შეიძლებოდა. ნაცვლები შეიყარნენ და გადასწყვიტეს, რომ ტანცები ნუ იქნებაო, თორემ პოლიციას შეუძლიან აგვიკრძალოს და საქმე ხეირიანად არ წავაო. ეს ტანცების აკრძალვა დაბრალდა ბ-ნ სტეფანოვს. ერთმა ნაცვალთაგანმა ძალიან ძალიანები შემოუტია, ამას სხვაც მიჰყვა და უდანაშაულო კაცს ფეხი უმრახუნეს, ბავშვივით თითი უწნიეს. როდესაც ბ-ნმა სტეფანოვმა დამშვიდებით უთხრა ბ-ნს ტ—ს, ნაცვალს: „ძმაო, რა გინდა ჩემგან, მე რაში ვარ დამნაშავეო“, ასეთი თურმე შემოუტია, რომ თქვენი მოწონებული. ვინ არის შენი, ძმა, ვის ეკადრებაო, და სხვა ამ გვარებით შეამკო უდანაშაულო, მოხუცებული კაცი, რომელიც ოცი წელიწადია უანგაროდ მსახურებდა კლუბს. ასე და ამ გვარად გამოაძევეს კლუბიდგან სასარგებლო და პატიოსანი კაცი. რად და რისთვის? კაცმა არ იცის.

საზოგადოებამ განცხადება შეიტანა, რომ სთხოვონ ნაცვლებმა სტეფანოვს დარჩენა ხაზინადრად და, თუ უარს იტყვის, დანიშნონ განსაკუთრებული საზოგადო ყრილობა წევრთა, რათა გაიგონ ნამდვილი მიზეზი სტეფანოვის გამოძევებისა და კვალად სთხოვონ იკისროს ხაზინადრობა.

◆◆

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ 1890 რიცხვმა ცუდი წელიწადი გაუთენა ბისმარკს. მოვიდა ჭაბუკი, ძველს გუდა-ნაბადი აკრა ფინა და გაისტუმრა ფრიდრიხსრუეში საოცნებოდ და ბოლოთის საკვრელად. ბისმარკს-კი რომ კანცლერობა არ ეთმობოდა, ამას აშკარად ამტკიცებს „New-York Herald“-ში დაბეჭდილი ბერლინის კორესპონდენცია. ამ გაზეთის კორესპონდენტი ამბობს, რომ

იმპერატორი დარწმუნდა, მე უკეთ შეგსძლებ უბისმარკოდ ქვეყნის მართვასა და გამგეობასაო. რა-კი ბისმარკმა შენიშნა იმპერატორს, რომ თანდათან უფრო და უფრო გულცივად მეპყრობაო, პირდაპირ გამოუცხადა, რომ ხომ არ გიშლი რითმე ხელსაო. იმპერატორმა ზერე ქვერე პასუხი მისცა და ბისმარკმა ამის გამო გამოუცხადა, რომ მზადა ვარ ყოველს ჩემს თანამდებობას თავი დავანებო და მხოლოდ გარეშე საქმეთა გამგეს უფლება შევირჩინოვო. იმპერატორი დასთანხმდა, ხოლო ბისმარკი ცოტა ხანს შემდეგ დარწმუნდა, რომ ასე განაწილება თანამდებობისა მოუხერხებელია და საშიშოა, და გამოუცხადა იმპერატორს, რომ ამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა რეისსტაგის შეკრებამდე და შუა ზაფხულამდე გადავდოთ, რათა დრო მქონდეს სოციალურს გამთში მონაწილეობა მავიღო და აგრეთვე სამხედრო ბიუჯეტისა და მოხელეთა ჯამაგირის მომატების საქმეშიო. იმპერატორი პირველში თითქო დასთანხმდა, შემდეგ-კი კანცლერს ზოგიერთი ისეთი ბრძანება გასცა, რომლის ასრულებასაც, კარგად იცოდა, კანცლერი სამსახურიდგან გასვლას არჩევდა. ბისმარკი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბრძანება კვლავ განუმეორეს. კანცლერი აღელდა, მაგრამ სამსახურს მაინც თავს არ ანებებდა. იმპერატორი მოთმინებიდგან გამოვიდა და სიტყვას გადაუგდებდა კიდეც ხოლმე, რატომ თავს არ ანებებ თანამდებობასაო, და ბოლოს ხომ საქმე იქამდის მიიყვანა, რომ თავიდგან მოიშორა კანცლერი.

ეხლა ბისმარკს მარტო ის და დარჩენია, რომ გაისეირნ-გამოისეირნოს თავის ფრიდრიხსრუეს ბაღში და ქართული ანდაზა წაიღიღინოს: „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასა!“ იმისი წირვა გამოსულია.

**

მართლა-კი გამოსულია წირვა და ევროპამ საერთოდ და გერმანიამ კერძოდ ერთიან მოიშორა თავიდგან რკინის კანცლერი? ზოგიერთის გაზეთის სიტყვით, ჯერ კიდევ სული არ მოჰკლებია ბისმარკს

---

ვა ლათომ და თითქო გაუღიმა სახემაო. თვალები მაღლა აიღო და მერე ისევ დაჰხუჭა ულონოდ.

— მოვკალე, სოსე! სულს აბარებს ღმერთს, წასჩურჩულა ბებიამ სოსეს.

— არა... ბებია! ჯერ არა ვკვდები... ჩემთან იყავი, სოსე...

— მეც მიმიყვანეთ!.. წამოიკვნესა მოხუცმა, რომელიც აქამდის ბნელს კუთხეში შფოთავდა. ბარბაცით წამოვიდა და სოსეს პირდაპირ, ლათოს გვერდზედ მოიკეცა ძირს.

საბან—გადახდილი გული ლათოსი ოდნავ-ღა ჰფეთქავდა სიცოცხლით და დაბლად დადებულს ბალიშზე გადავარდნოდა თავი. გამხდარს კისერზე ძარღვები უჩანდა და, თითქო გასაფრენად მომზადებული, სული მტრედსავით ყელში-ღა უცემდა. იმის მშვენიერი სახე, ავადმყოფობით უფრო განაზებული, უფრო უმანკო, ისევ იმ შავ თმებ შორას გამოიყურებოდა, თითქო სინანულით ტანჯვას სტოვებდა და სიკვდილს ტკბილად უღიმოდა.

გარედ ძაღლი ღმუოდა გულ-საკლავად.

— სოსე, შვილო, მიმართა მოხუცმა და მანამ სიტყვას დაასრულებდა, დიდხანს ჩააშტერდა სოსეს: ი ძაღლის ღმუილი გულს მიკლავს, გაიტა, თოფი გატენილია.

სოსე ნელა წამოდგა და თოფი გაიტანა. ძაღლმა იცნო დიდის ხნის უნახავი პატრონი, წკმუტუნით გულზე შევარდა და ალერსი დაუწყო. სოსემ თოფი მოისროლა და ძაღლი სიყვარულით, თუ სხვა რამე გრძნობით გულში მიიკრა. როგორც დამნაშავე ბავშვს დედის ალერსი ხანდახან ცრემლს მოჰგვრის, ისე სოსე, სულთ-მობრძავის საყვარელ დის წინ ჩუმი და დაღვრემილი, ამ ძაღლის ალერსმა ბავშვსავით აატირა.

სოსე ცრემლების წმენდით ისევ სახლში შევიდა.

— მოხუცო, ხელი ნუ გიჭირავს, ეწვალება, შენიშნა ბებიამ.

ლათომ შეშინებულსავით თვალები გამოაჭყიტა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ ღონე ვერ შესწევდა და ისევ ულონოდ მიეშვა.

— შვილი!.. შვილი!.. დამანახვეთ!.. დაიყვირა ლათომ ხელების ქნევით.

ბებიამ თეთრში გახვეული ყმაწვილი დაანახვა ავადმყოფს. ლათოს მის მისაწვდენად გაწვდილი ხელები ულონოდ ძირს ჩამოუვარდა, სიყვარულით გაუღიმა თავის პაწაწას და ამ ტკბილის ღიმილით ლათომ სამუდამოდ დალია სული.

—

ლათოს სიკვდილის მესამე დღე იყო. თოვლდა ისე, რომ ნაფერთლებისაგან კაცი კაცს ათს ნაბიჯზე ძლივს გაარჩევდა. გულ-ხელ დაკრეფილი სოსე თავის კარებიდგან უიმედოდ გაიცქირებოდა შორს სივრცეში.

ორმოციოდე გლეხ-კაცმა ნიჩბებით, ცულებით და თოხებით გვერდზე ჩამოუარეს.

— რა ხმაურობაა, შვილო? იკითხა მოხუცმა.

— ბატონის ცხედარს მოასვენებენ და გზის გასაკეთებლად მიდიან, უპასუხა სოსემ.

— შენ არ წახვედი, შვილო?

— მე სიცოცხლეშიაც ბევრი ვემსახურე.

— ეს უკანასკნელი სამსახურიც გაგეწია, შვილო.

სოსე პატარას ჩაფიქრდა. „კარგი, წავალ!“ სთქვა მან და ცულის ასაღებად მოტრიალდა, მაგრამ ამ დროს სოფლის ბიჭების ქლივილი მოესმა და ყურის გდება დაიწყო.

— ის საწყალი იქნება! უთხრა მოხუცმა, რომელსაც კიჟინის ხმა მოესმა: შვილო, საწყალი გიგლა ხომ გაგიჟდა!

სოსე გარედ გავიდა. სოფლის გზაზე სირბილით დაქანცულს გიგლას ბიჭები თოვლის გუნდების ცემითა და კიჟინით უკან მოსდევდნენ.

— რას მერჩით, ძმებო?! ვის რას გიშავებთ! შეეხვეწა გიგლა, როდესაც სირბილით დაღალული მუხლებამდის თოვლში ჩაეფლა: რა უყოთ, რომ გიჟი ვარ! თუ-კი ჰკვიანს არა სცემთ, გიჟმა რაღა დაგიშავათ?! სოსე ბიჭებს გაუჯავრდა.

— ვუი, შენ გენაცვალე, ჩემო სოსე! ჩემო ძმაო, ბოლომდის შენ მიპატრონე! გიჟი არა ვარ, არას დავაშავებ.

— შემოდი, გიგლა, ცეცხლზე გათბი, დაუძახა სოსემ.

— არ მინდა, სოსე. მანდ ვერ შემოვალ; არცა მცივა...

— ეჰეი! რა კარგად დამინიშნე, შიგ გულში მამარტყი! უთხრა გიგლამ სიცილით ერთს ბიჭს, რომელმაც თოვლის გუნდით საკინძე ჩამოაგლიჯა.

— შემოდი, გიგლა, შემოდი, ახალს ჩოხას ჩაგაცმევ, თბილად იქნები, ემუდარებოდა სოსე.

— არ მინდა, სოსე. არა მცივა. მოხუცი კიდევ ცოცხალია?! აბა ენახო! ამ სიტყვებით გიგლამ კარებიდგან მოხუცს ყურება დაუწყო: საწყალი მოხუცი!.. ლათო მოკვდა. ტირის... მეც ვიტირო, მამა? შენ, სოსე? შენც იტირებ! რას მემალები, სოსე! განა მე არ მიყვარდა ლათო?! მოხუცო, ჭიტა! რას კვნესი, მამა? სიკვდილს უძახი? მოდის... მოდის... ახლოა...

— პატარა ბიჭებო! დაუძახა გიგლამ ბიჭებს: მე განზე გავდგები და თქვენ თოვლი მესროლეთ.

ბიჭებმა დაუწყეს გუნდის სროლა. საკინძე ჩამოგლეჯილს გიგლას პერანგი თოვლით აევსო ნასროლის გუნდებისაგან.

— მეყოფა! მეყოფა, თქვე ულმერთოებო! სოსე! სოსე! მიშველე! ძაღლსავით მომკლეს! აი, შენი ჭირიმე, სოსე, ეგრე დაიფრინე! მოხუცო! მოხუცო! ნუ მცემთ, ბიჭო! შემცივდა! ვაიმე მიშველეთ! გავიყინე!..

ამ სიტყვებით გიგლა თავ-ქვე დაეშვა და ბიჭებიც კიჟინით უკან გამოეკიდნენ.

—

დილა ადრიან ორი სოფლელი ნიჩბითა და ბარით ნიკოს საფლავის ამოსათხრელად მიდიოდა სასაფლაოზე. უცბად ერთმა ვიღაცას საფლავზე თვალი მოჰკრა რაღასაც.

— აი რა წამომჯდარა, ბიჭო, საფლავზე? ჰკითხა ერთმა მეორეს.

— არ ვიცი. ლათოს საფლავზეა. ადამიანსა ჰგავს, მაგრამ თოვლი საიდგან დაჰყრია?

გლეხ-კაცები ნელის ნაბიჯით მიუახლოვდნენ იმ ალაგს.

— ის სულელი იქნება! სძინავს ნეტა, თუ ჩაჭიქრებულია? გიგლა, ბიჭო! დაუძახა ერთმა.

გიგლა ხმას არა სცემდა. ერთმა მათგანმა მხარზე ხელი დაადო, ერთხელ კიდევ დაუძახა სახელი და გასაღვიძებლად ხელი ჰკრა.

გიგლა, როგორც იყო მოკუნტული, ისე გაუშლელად გადატრიალდა.

— საწყალი, გაყინულა! წამოიძახა ორივემ, ქუდები მოიხადეს და პირჯვარი გადიწერეს.

პავლიკო ყიფიანი

19 ივნისი 1888 წ.

ბოლო სამსახურიდგან გადადგომით, ჯერ კიდევ დიდი გავლენა ექნება რკინის ჩაკანცლერის როგორც გერმანიის საქმეთა წარმოებაზედ, აგრეთვე დასავლეთ ევროპისაზედაც.

უკვე ძალიან ახლოა გერმანიის საკანონ-მდებლო სესიის დაწყების დრო, ხოლო დაიწყება თუ არა სესია, ისიც გამოირკვევა, შესაძლებელი იქნება ვილჰელმ II-სათვის იმ პარლამენტის დაუთხოვნელად ქვეყნის მართვა, თუ არა. თუ დაუთხოვნელობა გადასწყდა და წინანდელ პარლამენტის დასთავან ახალი მთავრობის მომხრე უმრავლესობა შესდგა, თანამგრძნობელი ჭაბუკის იმპერატორისა, ბანონ ბერლეპშისა, გინცპეტერისა და სხ., მაშინ იმპერატორის მოწინააღმდეგენი, რაღა თქმა უნდა, თ. ბისმარკის გარშემო მოიყრიან თავს იმისდა მიუხედავად, რომ ბისმარკი სამსახურში აღარ არის. ხოლო თუ ეხლა ხან მოწვეულის პარლამენტის ისევე დათხოვნა აღმოჩნდა საჭიროდ, ზნეობრივი ავტორიტეტი ნაკანცლერალისა გაძლიერდება და ყველა იმ აზრისა იქნება, რომ ბისმარკი იმპერატორთან არა სტყუოდაო. ამიერიდგან უფრო საპოლიტიკო ამბავს თავისს კვალს დააჩნევს ეს უთანხმოება ბისმარკსა და იმპერატორს შორის. იქნება ამ საქმის გავლენითვე აიხსნას ის პარიჟის გაზეთ „La Paix“-ის მიერ გავრცელებული ხმა, რომ ვითომ გერმანიის ახალგაზდა იმპერატორი ეხლა იმის ზრუნვაშია, თუ როგორ დაუახლოვოს ერთმანეთს საფრანგეთი და გერმანია და მათ შორის როგორ ჩამოაგდოს მეგობრობაო. ვინ იცის, იქნება ტყუილად არ უალერსებდა და ქება-დიდებას ასხავდა კათოლიკეთა თავადი ეპისკოპოსი კოპპი ისეთს „თავისუფლების მოყვარე მოაზრეს“, როგორიც იყო და სიბერემდეც დარჩა ჟიულ სიმონი!..

იქნება, ვინ იცის, ჯერ ბისმარკის დათხოვნამდეც არა ერთხელ გვითქვამს ჩვენს გაზეთში, რომ საფრანგეთისა და გერმანიის დაახლოვება ადვილად მოსალოდნელი და შესაძლებელიაო. ბისმარკი რომ იაფად არ დაუსვამს იმპერატორის დათხოვნას, ამას თქმა არ უნდა. ზოგიერთი გაზეთი სწერს, ვითომ ბისმარკმა სთქვაო, რომ „იმპერატორი კიდევა მნახავსო“.

**

არ ვიცი რამდენად გაამართლებს თავისს მუქარას თ. ბისმარკი, მაგრამ ცამეტის წლის წინად ნაგრძნობი რომ გაუმართლდა, ეს დღეს აშკარა და თვალ.ისათვის და სანახავ საბუთითა მტკიცდება. გაზ. „National Zeitung“-ის სიტყვით,

ჯერ ამ ცამეტის წლის წინადვე ბისმარკის გულს უგრძვნია, რომ თუ ჩემს ადგილს დაიჭერს ვინმე, ეს ვინმე კაპრივი იქნებაო. ერთხელ ბისმარკი ფრიდრიხსრუედგან ბერლინში ბრუნდებოდა და რკინის გზის ერთს სადგურზედ შეხვდა კაპრივს, რომელსაც წინად სულ არ იცნობდა. კაპრივს ბისმარკის მახლობელთა შორის ზოგიერთი ნაცნობი შეხვდა და სთხოვა, რომ გამაცანით რკინის კანცლერიო. გააცნეს. ბისმარკი დიდის ალერსით ხანგრძლივ ელაპარაკა კაპრივს, ხოლო, როცა იგი გამოემშვიდობა და ვაგონიდგან გავიდა, კანცლერმა თავისს მახლობელთ უთხრა: ხშირად დავკვირვებივარ ჩემს თავს, ვინ იქნება ჩემი მოადგილე მეთქი, და „აგერ ის კაციც ეხლა გავიცანიო“.

ბევრს სხვა კარგ ღირსებასთან ბისმარკს, როგორც ჰხედავთ, წინასწარმეტყველობის უნარიცა ჰქონია.

**

ვგონებთ ამდენ ბისმარკის შესახებს ლაპარაკთან ისიც საინტერესო იყოს ჩვენის მკითხველებისათვის, თუ რამდენი ჯამაგირი ჰქონდა ბისმარკს და ან ამიერიდგან რა მიეცემა პენსიად. გერმანიის გაზეთები, სხვათა შორის, ამის გამოისობითაც ბევრსა ჰლაპარაკობენ და იმ აზრისანი არიან, რომ

ნაკანცლერალს სამი მეოთხედი მიეცემა პენსიად იმისი, რაც ჯამაგირი ჰქონდა, ანუ სამი მეოთხედი 54,000 მარკისა, ე. ი. 41,500 მარკა. გაზ. ‹Independance Belge› ამბობს, რომ ეს ანგარიში ცუდად არის შედგენილი. 54,000 მარკიდგან უნდა გამოირიცხოს კიდევ 18,000 მარკა, რომელიც ბისმარკს სათანამდებობო საქმეთა ხარჯისათვის ეძლეოდა. რჩება 36,000 მარკა. ამას გარდა კანონი ამბობს, რომ როცა ვისიმე პენსიად გადაქცეული ჯამაგირი 12,000 მარკას აღემატება, მომეტებული ნახევრად უნდა გაიყოსო. ამ გვარად პენსიას საფუძვლად დაედება 24,000 მარკა, ხოლო ამის სამი მეოთხედი, ე. ი. 18,000 მარკა, თ. ბისმარკს დაენიშნება პენსიადაო.

დიდი მწყალობელი არ უნდა იყოს, როგორც ეტყობა, ეს ბუნჰალტერი-გაზეთი ბისმარკისა!..

# დეპეშა

27 მარტი

ბუხარა. ავღანისტანიდგან მოსული ვაჭრები, რომლებიც ბუხარაში ავღანისტანის ქარვასლაში სცხოვრობენ, დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ემირმა აბდურახმან ხანმა ოფიციალურად დართო ნება თავისუფალის ვაჭრობისა რუსეთის ქარავანებს საავღანო თურქესტანის ქალაქებში, ჩარეილას ტახსა და თვით ჰერათშიაც-კიო.

ბერლინი. გერმანელებთან მებრძოლე არაბთა შეიხები დაგვნებდნენ.

ჰელზოკირხენში ქვა-ნახშირის მაღაროების მთხრელნი დაშოშმინდნენ.

პარიჟი. აქ იმ აზრისანი არიან, რომ სამინისრტო დღეს ჰერცოგის ორლეანის განთავისუფლებას გადასწყვეტსო.

28 მარტი

პეტერბურგი. იმიერ-კასპიის მხარის უფროსი გენერალ ლეიტენანტი კამაროვი დაინიშნა სამხედრო მინისტრის განკარგულების ქვეშ საყოფნელად და აწინდელ თანამდებობისაგან დათხოვნილ იქმნა. მის ადგილას დაინიშნა გენერალ-მაიორი კუროპატკინი, რომელსაც კარგის სამსახურისათვის ამასთანავე ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა.

24 მარტს უწყებული ამბავი ლიკვიდაციის თაობაზე შეეხებოდა არა მოსკოვის საკრედიტო საზოგადოებას, არამედ საზოგადოებას შორის საურთიერთო კრედიტისას.

კანეა. ოსმალოს ჯარმა აიკლო ეკკლესიები და ქრისტიანებს დიდი უპატიურება მიაყენა. ბევრს ადგილას შაქირ-ფაშამ უბძანა საიტიკი გამოძიება მოახდინონ და კონსულების წარდგენილობის გამო უბძანა შეადგინონ შერეული კამისია, რომ საზღაური გამოარკვიონ იმ წანახედისა, რომელიც ქრისტიანთ-მემამულეებს მიაყენეს და გარდა ამისა ეს წანახედის საზღაური გადაახდევინონ წანახედის მომქმედს მუსულმანებს.

ბერლინი. დღეს იმპერატორი სადილად იყო გრაფ ჰერბერტ ბისმარკთან. სადილად მიწვეულნი იყვნენ იმპერიის კანცლერი კაპრივი და 15 კაცი კიდევ სხვა.

პარიჟი. იტალიის ელჩი პარიჟში ოფიციალურად იუწყება, რომ იტალიის ესკადრა იგზავნება ტულონს პრეზიდენტ კარნოს მისაგებებლად.

ვენა. ამ ღამეს მდაბიო ხალხმა არეულობა მოახდინა ასე, რომ სისხლიც დაიღვარა. გაფიცულმა კალატოზებმა კრება გამართეს დღისით. ცხენოსანმა ჯარმა მოასწრო და ქუჩები განათავისუფლა.

პეტერბურგის ბირჟა, 23 მარტი.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 35 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 147 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 08 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . | 230 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 216 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . | 217½ | 215½ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

# განცხადებანი


ჩვენ წავართვით ძმათა პეტროკოკინოს ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ ჰყიდოთ ჩვენი.

**საზოგადო წასასმელი**

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის მირზედ!

წავართვით იმ მიზეზით, რომ იგი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელსა ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის ყუთის მსგავსს ყუთში გაკეთებულს.

—შემომკვეთლებს ვთხოვთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკვეთონ.




მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა აქვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება (26—10)

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სამეურნეო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმიოდ:

**ვერმორელის აპარატები**

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), ტყავის საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (СѢРНЫЙ ЦВѢТЪ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმიოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს. (50—4)

საწყობი

**მ. ადელხანოვისა და ამხ.**

ფაბრიკისა და ქარხნის საქონლისა

ერევნის მოედნისა და შუა ბაზრის კუთხეში, სახლი გენერალ ტერ-ასატუროვისეული.

მზა ფეხსაცმელები მამრთა და მდედრთათვის ახალის სხვა და-სხვა ფასონისა ისყიდება წვრილ-წვრილად იმავე ფასად, როგორც ფაბრიკებში.

ტყავის საქონელი: სამოგვე (ЮФТЬ) თეთრი და შავი, ყოველგვარ ხარისხის ცხენის ტყავი, თალათინები (პოიკები), მეშები (საფიანები), კუმუსტები (შაგრენები), დაჭიმული სამოგვე (ЮФТОВЫЯ ВЫТЯЖКИ), ნახევრად მოთელილი ტყავის საქონელი (ПОЛУВАЛЫ), ფეხსაცმელის მირბი ანუ ლანჩები (პადოშვები), საუნაგირე და მოუქნელი ტყავები (СЫРО-МЯТНЫЯ КОЖИ).

მოთელილ ნაბდების საქონელი

ყველა ხარისხის მოთელილი ნაბადი და ლეკური ნაბდები.

უმთავრესი კანტორა ტყავების ქარხნისა იმყოფება: ტფილისში, ერევნის გზა ტკეცილზე, საკუთარს სახლში. 10—4

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუჟოკის, გვერდზე, გავმართე მდიდრულად მორთული ნომრები:

„დ ა ნ ი ა“

ყოველ მხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

მსურველთათვის საბანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზიანად და პატივის ცემით მოექცევიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ. } მსურველთ ფინჯანი ყავა.
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ. }

გვყავს საკუთარი მოსარეცხე და იფრინდა აქეთ-იქით გასაგზავნად.

(30—10) ნომრების პატრონი პეტრე საუგარელიძე




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბერლინში

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

**ფოლადის გუთნები**

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური საწიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—13)


Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Мартъ 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ Мелик д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე